Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში

#3, დეკემბერი, 2017

„ხალხის ხმა" საქართველოს ბეჭდურ მედიაში - ხმა არსაიდან და ხმა არსაით

ცირა გურგენიძე, ლანა როყვა

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tsira15@gmail.com; lana.rokva@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია, ყოველდღიური გაზეთის, „რეზონანსისა“, და ყოველკვირეული გამოცემის, „კვირის პალიტრის“ ნიმუშების დისკურსულ ანალიზზე დაყრდნობით (დროითი ჩარჩო: 2017 წლის 15 აპრილიდან 30 აპრილამდე ჩათვლით), გავაანალიზოთ, რამდენად და როგორ ისმის „მოქალაქეების ხმა“ თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში. კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის კვლევის როგორი ტიპის ვერსიას წარმოადგენს მოქალაქეების გამოკითხვები სოციალური მედიის ეპოქაში.

კვლევის მიგნებები წარმოადგენს პასუხებს შემდეგ საკვლევ კითხვებზე: (ა) რა თემაზე, რა საკითხზე ატარებს გაზეთი გამოკითხვას? (ბ) რა ხარისხით და რა მახასიათებლებით არიან იდენტიფიცირებულნი რესპონდენტები? (გ) ის თემა თუ საკითხი, რომელზედაც პერიოდული გამოცემა ატარებს მოქალქეების აზრის გამოკითხვას, არის თუ არა წარმოდგენილი გაზეთში სხვა ჟანრის პუბლიკაციით? - თუ არის, როგორ, და რამდენად თანხვედრაშია «ხალხის აზრის“ გამოკითხვა. კვლევის დასკვნა მიუთითებს ამ ფორმის ანაქრონისტულობაზე.

Abstract

Based on discourse analysis of 17 units (publications from Georgian daily newspaper "Resonance" and a weekly edition "Kviris Palitra"; time frame: from 15th April 2017 to 30th April 2017 (included)), article evaluates how much and how to be heard "Vox Populi" in contemporary Georgian print media.

The main findings represent the answers to the following research questions: (A) what subject, what's the matter wears a newspaper poll? (B) what quality and what features identify respondents? (C) the issue or issues on which the periodical issue wear people public opinion poll, whether presented in newspapers in other genres of publication? - If not, how and how much compliance with the "People's opinion" poll.

The research conclusion indicates this discursive form as anachronist one .

შესავალი

თანამედროვე მედიაკვლევებში ერთ-ერთ მეინსტრიმულ ასპექტს წარმოადგენს მედიური ეფექტების კვლევა, ანუ იმ გავლენის კვლევა, რომელსაც მედიური შინაარსი ახდენს ზოგადად საზოგადოებაზე თუ კონკრეტულად რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფზე. მედიური შინაარსის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს მოქალაქეთა გამოკითხვები ამა თუ იმ საკითხის შესახებ და გამო.

ჩვენი თემის აქტუალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ კრიტიკულად შევისწავლით და გავაანალიზებთ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ამ „ახლომხედველ“, არამეცნიერულ ვერსიას და შევეცდებით, ვუჩვენოთ, რა ეფექტზეა იგი გათვლილი, ანუ რა ფუნქციას ანიჭებს რედაქცია „ხალხის ხმას“ თავის დღის წესრიგში. კრიტიკულ ხედვას არ განაპირობებს მხოლოდ ამ გამოკითხვების არაპრეზენტატულობა, არამედ თავად ფორმის არარელევანტურობა სოციალური მედიის ეპოქაში. ცალკე კრიტიკული განსჯის ღირსია შეკითხვის მნიშვნელობის ფანტომურობა.

კვლევის ობიექტია ორი პოპულარული ქართული გაზეთი - ყოველდღიური „რეზონანსი“ და ყოველკვირეული „კვირის პალიტრა“, რომელთაც მუდმივ რუბრიკად აქვთ დამკვიდრებული მოქალაქეების აზრის გამოკითხვა ე.წ. „ქუჩის გამოკითხვის“ ფორმით.

კვლევის მიზანია მოსაზრებების პლურალიზმის, ე.წ. „შიდა პლურალიზმის“ ერთ-ერთი ტრადიციული ფორმის ეფექტის კვლევა თანამედროვე ქართულ მედიაში.

კვლევის მეთოდია - დისკურსული ანალიზი; დისკურსული ანალიზის მეთოდი, საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ და გავაანალიზოთ არა მხოლოდ ლინგვისტური სტიმულები, არამედ მისი პრაგმატიკული ფარგლები.

1. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული არგუმენტები

ლიტერატურის მიმოხილვაში ჩვენ შევეხებით საკითხს ორი მეცნიერული პერსპექტივიდან. პირველი მათგანი შეეხება საზოგადოებრივი აზრის ფენომენს, მის სირთულეს, გარემოებებს, რომლებიც ეჭვქვეშაც კი აყენებს საზოგადოებრივი აზრის არსებობას. ხოლო მეორე პერსპექტივაა კომუნიკაციათმცოდნეობის წიაღში შექმნილ მედიური ეფექტების ტიპოლოგიას და ამ ტიპოლოგიაში საზოგადოებრივი აზრის რეპრეზენტაციის ფარგლებს.

გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიე თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს“[1] სტატიის დასაწყისშივე გამოხატავდა სკეპტიკურ დმოკიდებულებას იმ ხანად დამკვიდრებული სოციოლოგიური აზრის შემსწავლელი პრაქტიკისა და ტექნიკებისადმი. ბურდიე წერდა: „ჩემი განზრახვა არის არა მარტივი და მექანიკური

[1] Bourdier P. L'opinion publique n'existe pas. Les Temps Modernes, janvier, 1973. 1292-1309

მხილება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისა, არამედ მათი ფუნქციონირებისა და გამოყენების მწყობრი ანალიზის ცდა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ეჭვქვეშ დადგება სამი პოსტულატი, რომლებიც იმპლიციტურად არის ამოქმედებული გამოკითხვებში. აზრისა და მოსაზრებების ყოველი გამოკითხვა გულისხმობს, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ჰქონდეს მოსაზრება, - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - აზრის წარმოება, შექმნა ყველასთვის ხელმისაწვდომია [...]... მეორე პოსტულატი გულისხმობს იმას, რო თითქოს ყველა მოსაზრება და აზრის მნიშვნელოვანია. მე კი შესაძლებლად მიმაჩნია, დავამტკიცო, რომ ეს ასე არ არის და რომ რეალურად სხვადასხვა ძალის მქონე მოსაზრებების დაჯამების ფაქტს საზრისს მოკლებული არტეფაქტების წარმოებასთან მივყავართ. მესამე პოსტულატი ფარულად ვლინდება: ის უბრალო ფაქტი, რომ ყველა გამოკითხულს ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამენ, წარმოშობს ჰიპოთეზას კონსენსუსის არსებობის შესახებ პრობლემატიკასთან მიმართებაში - თანხმობისა, რომ შეკითხვები, რომლებსაც სვამენ, თითქოს აუცილებლად უნდა დაისვას, რომ ისინი ამას იმსახურებენ."

ბურდიე, პირველი პოსტულატის ხსენებისას, დათქმას აკეთებდა, რომ ამ პოსტულატის წინ წამოწევით იგი დიდად რისკავდა, „უხეშად წამოსდებოდა მავანთა გულუბრყვილო დემოკრატიულ გრძნობებს"; ხოლო სამივე პოსტულატის მითითების შემდეგ ბურდიე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ სწორედ ამ სამი პოსტულატის უკრიტიკოდ მიღება განაპირობებდა საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების დეფორმაციების მთელ წყებას - იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოკითხვა აკმაყოფილებდა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მკაცრ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. ბურდიეს ამ სამი პოსტულატის კრიტიკა სოციოლოგიის თანაბრად სრულფასოვნად ვრცელდება მედიაზეც.

რაც შეეხება მეორე პერსპექტივას, თანამედროვე კომუნიკატივისტიკაში აღიარებული ავტორის, დენის მაკქუეილის (McQuail 2013: 468-469) აზრით, მედიის ეფექტები ორი განზომილების მიხედვით იყოფა: ერთ-ერთი განზომილება არის დროითი (ხანგრძლივ და მოკლე პერსპექტივაზე გათვლილი ეფექტები) და განზრახულობა (დაგეგმილი დ დაუგეგმავი ეფექტები. თუ განზრახულობისა და დროს წარმოვიდგენთ როგორც ორ, ურთიერთგადამკვეთ წრფეს, ვნახავთ, რომ გვექნება ოთხი სიბრტყე ეფექტებისა: (1) დაგეგმილი და მოკლევადიანი ეფექტები; (2) დაგეგმილი და გრძელვადიანი ეფექტები; (3) დაუგეგმავი და მოკლევადიანი ეფექტები; (4) დაუგეგმავი და გრძელვადიანი ეფექტები. მედიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი კი ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოებრივ აზრზე მოქმედება, მისი შეინარჩუნება, გამყარება ან განსაზღვრული დამოკიდებულების შეცვლაა. ხშირ შემთხვევაში, მედია ცდილობს, მიაღწიოს უფრო ხანგრძლივ პოლიტიკურ ეფექტს, ვიდრე ეს უბრალოდ ინფორმაციის ტრანსმისიაა (ინფორმაციის გადაცემა).

სავარაუდოა, რომ „სახალხო გამოკითხვები" - დროისა თუ განზრახულობის მიხედვით - შეიძლება მიეკუთვნებოდეს მოკლევადიან დაგეგმილ ეფექტთა რიგს (ანუ

წარმოადგენდეს პროპაგანდას), მოკლევადიან დაუგეგმავ ეფექტთა რიგს (ანუ წარმოადგენდეს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ რეაქციას, გამოხმაურებაას ამა თუ იმ საკითხზე), ან წარმოადგენდეს ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ ეფექტს, მიმართულს პოლიტიკურ ან ინსტიტუციურ ცვლილებებზე.

რაც შეეხება მოქალაქეთა ხმების რეპრეზენტირების ტრადიციას ქართულ მედიაში, აქ რამდენიმე ასპექტის გამოყოფა გვმართებს: (1) საუკუნის დასაწყისის ქართულ მედიაში ხალხის აზრებს გადმოსცემდნენ ადგილობრივი კორესპონდენტები; (2) ქართულ საბჭოთა მედიაში ყველა გაზეთს, ყველა ორგანოს, ყველა მაუწყებელს ჰქონდა საგანგებო განყოფილება რედაქციის შემადგენლობაში - მშრომელთა წერილების განყოფილება. ამ განყოფილებებში შესული კორესპონდენცია ხარისხდებოდა და გამოქვეყნებისთვის მზადდებოდა შემდეგი შინაარსობრივი შაბლონებით - რედაქცია ან მშრომელთა წერილების თემატურ მიმოხილვას ამზადებდა, ან ბეჭდავდა ერთ რომელიმე გამორჩეულ წერილს, რომელშიც იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი საკითხი, თემა ან პრობლემა „სწორ იდეოლოგიურ ჩარჩოში“ თავსდებოდა, ანუ შეესაბამებოდა დომინანტური პოლიტიკური დისკურსის ინტერესებს; (3) დამოუკიდებელ ქართულ პრესაში, - იმ დროს, როცა ბეჭდური მედია დომინირებდა მედიის ბაზარზე, როცა სწორედ ბეჭდურ მედიაში გამოჩნდნენ პირველი დამოუკიდებელი მედიაფირმები, - ხალხის ხმა გადმოიცემოდა ან თავად რედაქციების მიერ დაკვეთილი სოციოლოგიური გამოკითხვებით (ამის ძალიან კარგი მაგალითია გაზეთი „7 დღე“, 1990-1995 წლები), ან ე.წ. საავტორო სვეტებით, როცა გაზეთები მოწვეულ ავტორებს, საზოგადოების წევრებს სთავაზობდნენ ავტორობას.

2. მეთოდის აღწერა: მიდგომა, მეთოდოლოგიური ტექნიკა და ანალიზი

კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა დისკურსული ანალიზი, კერძოდ მისი ნაირსახეობა - დისკურსული ჩარჩოების კონტენტ-ანალიზი, რომლის ფარგლებშიც ემპირიული მონაცემები დაჯგუფდა შემდეგი ჩარჩოების მიხედვით:

ჩარჩო პირველი - თემა ან საკითხი, რომელსაც შეეხება შეკითხვა;

ჩარჩო მეორე - შეკითხვის პრაგმატიკული ასპექტი;

ჩარჩო მესამე - რესპონდენტთა იდენტიფიკაციის ხარისხი.

ჩარჩო მეოთხე - გამოკითხვის ბმის ხარისხი სხვა პუბლიკაციებთან.

ანალიზის ერთეულად აღებულ იქნა ყველა გამოკითხვა, როგორც ცალკე ჟანრი, ცალკე შინაარსობრივი ფორმა, რომლებიც წარმოდგენილი იყო ჩვენთვის საინტერესო ორ წყაროში: გაზეთებში - „რეზონანსსა“ და „კვირის პალიტრაში“. ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 17 ერთეული.

ანალიზის პირველ ეტაპზე თითოეული ნიმუშის მიხედვით შედგა მისი აღწერა ჩვენს მიერ გამოყოფილი ჩარჩოების შესაბამისად. კერძოდ:

1. *რეზონანსი, 15 აპრილი*

რუბრიკა - „დღის კითხვა“

შეკითხვის სფერო - პოლიტიკური

შეკითხვა - „ამართლებთ თუ არა ოპოზიციის ბოიკოტს საკონსტიტუციო კომისიისადმი?“

რესპონდენტების იდენტიფიკაცია - ისინი იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: ჯემალ ჭკუასელი (ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი); ვაჟა ოთარაშვილი(პოეტი); ნუგზარ კვაშალი(მომღერალი); რეზო მიშველაძე(მწერალი).

რუბრიკის ბმა იმავე გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - საკონსტიტუციო კომისიისადმი ბოიკოტს სხვა მასალებიც შეეხებოდა. კერძოდ, ინტერვიუ პოლიტოლოგ ზაალ ანჯაფარიძესთან - „გვინდა თუ არა საპარლამენტო რესპუბლიკა, ამაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს“ და სტატია სათაურით - „ბოიკოტი ყველა ოპოზიციურ პარტიას გადაწვეტილი აქვს, „ევროპული საქართველოს“ გარდა“.

2. *რეზონანსი, 15 აპრილი*

რუბრიკა - „რას ფიქრობს ხალხი“

შეკითხვის სფერო - ყოფითი კულტურა, მარკეტინგი

შეკითხვის შინაარსი - იზრდება თუ არა ინტერესი სადღესასწაულო ნივთების მიმართ;

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელითა და ასაკით: ნანუკა მჭედლიშვილი, 30 წლის; მაია გაჩეჩილაძე, 64 წლის; ქეთი ვეკუა, 22 წლის; ლელა ტაბატაძე, 45 წლის.

გამოკითხვის ბმა სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

3. *რეზონანსი, 18 აპრილი*

რუბრიკა - «დღის კითხვა“

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, უსაფრთხოება

შეკითხვა - „რამდენად დაცული და უსაფრთხოა საქართველო?“

წყაროების იდენტიფიკაციის ხარისხი - იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიით და ფოტოსურათით: გია ანჩაბაძე (ისტორიკოსი); გოგი თორაძე (რეჟისორი); იური მეჩითოვი(ფოტოგრაფი); ლელა ოჩიაური (კინომცოდნე); გივი სიხარულიძე(მწერალი და მსახიობი).

გამოკითხვის ბმა სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

4. რეზონანსი, 19 აპრილი
რუბრიკა - „დღის კითხვა“;

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, კონსტიტუცია, ცვლილებები;

შეკითხვა - „მისაღებია თუ არა საკონსტიტუციო კომისიის მიერ მოწონებული ძირითადი ცვლილებები?“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: ნუცა ჯანელიძე (ხელოვნებათმცოდნე); ლადო ვარდოსანიძე (არქიტექტორი, ურბანისტი); თაკო ჩარკვიანი (პუბლიცისტი); რეზო მიშველაძე (მწერალი); იგორ კვესელავა (პოლიტოლოგი).

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - იგივე თემა გვხვდება სტატიის სახითაც, სათაურით - „ერთი პარტიის კონსტიტუცია?“

5. რეზონანსი, 19 აპრილი
რუბრიკა - „რას ფიქრობს ხალხი“;

შეკითხვის სფერო – ყოფითი კულტურა, მარკეტინგი, ცვლილება

შეკითხვის არსი - რამდენად სწარფად იცვლება საჩუქრისა და მოდის ტენდენცია;

რესპონდენტების იდენტიფიცირების ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელითა და ასაკით: დიანა ზალდასტანიშვილი, 31 წლის; სალომე ქარქაშაძე, 22 წლის; გულნარა ოდიშარია, 49 წლის.

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

6. რეზონანსი, 20 აპრილი
რუბრიკა - „დღის კითხვა“;

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, პროცედურული და ეთიკური დარღვევა;

შეკითხვა – „როგორ აფასებთ პარლამენტში მომხდარ ინციდენტებს?“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: მიხეილ ცაგარელი (ასტროლოგი); მიხეილ ღანიშაშვილი (პოეტი); დოდო ხურცილავა (თეატრმცოდნე);ნუცა ჯანელიძე (მუსიკათმცოდნე).

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - იგივე თემა გვხვდება სტატიების სახით: „კალმისა და ჭიქის სროლა პარლამენტის სხდომაზე“, „საფერფლე, თანაპარტილები და გატეხილი შუბლი“.

7. რეზონანსი, 21 აპრილი
რუბრიკა - „დღის კითხვა“;

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, უსაფრთხოება, ინსტიტუციები;

შეკითხვა – „უნდა გაუქმდეს თუ არა ეროვნული უშიშროების საბჭო?“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარსხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: ლელა ოჩიაური (კინომცოდნე); სერგო ვარდოსანიძე (ისტორიკოსი); ლაშა ჩხარტიშვილი (ა.ო. „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი); ირმა სოხაძე (მომღერალი); ქეთი ბექაური (იურისტი).

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

8. *რეზონანსი, 21 აპრილი*

რუბრიკა - „რას ფიქრობს ხალხი“;

შეკითხვის სფერო - ცხოვრების სტილი, ურბანული განვითარება;

შეკითხვის არსი - რა ტენდენცია შეინიშნება: აპირებენ თუ არა ადამიანები სოფლად ცხოვრებას მომავალში. სათაურში იდენტიფიცირებულია მდედრობითი სქესის ახალგაზრდა ასაკის მოქალაქეების პრეფერენცია - „გოგონების 90% სოფელში ცხოვრებას არ აპირებს“.

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებული არიან სახელით, გვარითა და ასაკით: მარიკა ხიზამბარელი, 54 წლის; მარიამ ბუაძე, 22 წლის; ნანა ბუნტური, 23 წლის.

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

9. *რეზონანსი, 22 აპრილი*

რუბრიკა - „დღის კითხვა;

შეკითხვის სფერო - ეროვნული პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, ისტორიული მეხსიერება;

შეკითხვა - „უნდა გაითვალისწინოს თუ არა საქართველოს პარლამენტმა თურქეთის პოზიცია 12 აგვისტოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადებისას?“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი სახელით, გვარით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: მიხეილ ცაგარელი (ასტროლოგი); იგორ კვესელავა (პოლიტოლოგი); თაკო ჩარკვიანი (პუბლიცისტი); თედო დონდუა (ისტორიკოსი).

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

10. *რეზონანსი, 22 აპრილი*

რუბრიკა - „რას ფიქრობს ხალხი“;

შეკითხვის სფერო - ყოფის კულტურა, სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური მდგომარეობა;

შეკითხვის არსი - ფიქრობენ თუ არა და გეგმავენ თუ არა ადამიანები ავეჯის განახლებაზე. სათაური დასკვნოს სახით არის შეთავაზებული მკითხველისთვის: „ავეჯის განახლებაზე სულ უფრო ცოტა ადამიანი ფიქრობს“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით და ასაკით: ეთო აფციაური, 28 წლის; გაგა ბერაძე, 38 წლის; სოფიო ლუტიძე, 60 წლის; თამუნა გაბელია, 47 წლის.

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

11. რეზონანსი, 24 აპრილი
რუბრიკა - „დღის კითხვა";

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, კონსტიტუცია, ქართული ოცნება;

შეკითხვა - „ცდილობს თუ არა ოცნება კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას?"

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი სახელით, გვარით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: გია ბუღაძე (ფერმწერი); გია ანჩაბაძე (ისტორიკოსი); ნანა კაკაბაძე (უფლებადამცველი); ლადო ვარდოსანიძე (არქიტექტორ-ურბანისტი);

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - იგივე თემა გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუს სახით: „ხუხაშვილი: „ოცნებას ირაციონალური შიში დაეწყო" და სტატიით: „ოპოზიცია კონსტიტუციის სახალხო განხილვის პარალელურად აქციებს გამართავს."

12. რეზონანსი, 25 აპრილი
რუბრიკა - „დღის კითხვა";

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, კონსტიტუცია, ოპოზიცია, დემოკრატია

შეკითხვა - „ეთანხმებით თუ არა ოპოზიციის მოსაზრებას, რომ კონსტიტუციური ცვლილებები ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის შანსს არ ტოვებს?"

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი სახელით, გვარით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით: რეზო მიშველაძე (მწერალი), მიხელ ცაგარელი (ასტროლოგი); იგორ კვესელავა(პოლიტოლოგი).

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - იგივე თემა გაზეთში არ არის წარმოდგენილი სხვა ჟანრის პუბლიკაციით.

13. რეზონანსი, 26 აპრილი

რუბრიკა - „დღის კითხვა";

შეკითხვის სფერო - პოლიტიკა, კონსტიტუცია, თავდაცვა, პრეზიდენტის ინსტიტუტი;

შეკითხვა - „მივიღებთ თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებებით შესუსტებულ თავდაცვასა და უფუნქციო უმაღლეს მთავარსარდალს?"

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიული ნიშნითა და ფოტოსურათით): ნანა კაკაბაძე (უფლებადმაცველი),

ირმა სოხაძე (მომღერალი), გივი სიხარულიძე (მწერალი და მსახიობი), გია ბუღაძე (მხატვარი), ქეთი ბექური (იურისტი).

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - ამავე თემას ეძღვნება ორი სტატია პოლიტიკის რუბრიკაში: „პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებების გადახედვას ითხოვს“ და „ოპოზიცია „ერთპარტიულ დიქტატურაზე“ საუბრობს და აქციებისთვის ემზადება; იგივე თემა გვხვდება რუბრიკაში ინტერვიუ: „ტუღუში:თუ ვენეციის კომისიის აზრი არ გაითვალისწინეს, ქვეყნის რეპუტაცია დაზიანდება.“

14. რეზონანსი, 26 აპრილი
რუბრიკა - „რას ფიქრობს ხალხი“;

შეკითხვის სფერო - ახალგაზრდობა, სესხი, დამოკიდებულება

შეკითხვის არსი - საიდან აქვთ ახალგაზრდებს შემოსავალი. ფორმულირება: „ახალგზრდები სწრაფ სესხებს ჩამოეკიდნენ“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან სახელით, გვარით, ასაკით და სტატუსით: ოთარ ჭალიძე, 20 წლის (სტუდენტი); თათია დიდებულიძე, 38 წლის (დიასახლისი); ბექა თადიაშვილი, 21 წლის (სპორტსმენი);

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

15. რეზონანსი, 27 აპრილი

რუბრიკა - „დღის კითხვა“;

შეკითხვის სფერო სასამართლოსადმი დამოკიდებულება, კრიტიკული დამოკიდებულება სასამართლოსადმი;

შეკითხვა – „მოსამართლეთა მიმართ „მიუღებელი ეპითეტების“ გამოყენება უნდა იყოს თუ არა დასჯადი?“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან გვარ-სახელით, პროფესიული ნიშნით და ფოტოსურათით: ლელა ოჩიაური (კინომცოდნე); თემურ ნანეიშვილი (ფიზიოლოგი); ნუცა ჯანელიძე (მუსიკათმცოდნე); დოდო ხურცილავა (ხელოვნებათმცოდნე);

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - სტატია: „იუსტიციის საბჭო მოსამართლეების მიმართ „მიუღებელი ეპითეტების“ გამო სასჯელის შემოღებას ეთანხმება.“

16. „კვირის პალიტრა“, 10-16 აპრილის ნომერი
რუბრიკა - „ცნობილთა აზრით“;

შეკითხვის სფერო თვითმმართველობა, ქალაქთა სტატუსი;

შეკითხვა - „როგორ აფასებთ საქართველოს შვიდი ქალაქისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის შესაძლო ჩამორთმევას?“

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან სახელით, გვარითა და ფოტოსურათით: ნონა გაფრინდაშვილი, როინ მეტრეველი, დავით ბერძენიშვილი.

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

17. კვირის პალიტრა, 17-23 აპრილი
რუბრიკა - „ცნობილთა აზრით";

შეკითხვის სფერო – მართლმსაჯულება, საზოგადოებრივი ნდობა;

შეკითხვა - „ენდობით თუ არა ქართულ მართლმსაჯულებას?"

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი არიან სახელით, გვარითა და ფოტოსურათით: ნანა დევდარიანი, მამუკა ჩარკვიანი, ნინო ქადაგიძე.

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

18. კვირის პალიტრა, 24-30 აპრილი
რუბრიკა - „ცნობილთა აზრით";

შეკითხვის სფერო - მედია საზოგადოებრივი მაუწყებლობა;

შეკითხვა - „მოგწონთ თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი?"

რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხი - რესპონდენტები იდენტიფიცირებულნი სახელით, გვარითა და ფოტოსურათით: ლუბა ელიაშვილი; თათული დოლიძე; მარიკა ლორთქიფანიძე.

გამოკითხვის ბმა გამოშვების სხვა პუბლიკაციებთან - არ არის.

3. განხილვა

მონაცემები უჩვენებს, რომ, სავარაუდოდ, უფრო მეტი ვალიდურობის მიღწევის მიზნით, ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიმართავენ ე.წ. „საზოგადოებრივი აზრის" შესწავლის, სოციალური გამოკითხვების ე.წ. „ვულგარულ ვერსიებს", ანუ როცა მედია არარეპრეზენტატული გამოკითხვებით ცდილობს, წარმოაჩინოს საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი „გამარტივებული ვერსია". ანუ - მედიასაშუალებების ინტენცია, განზრახულობა, გასაგებია.

მაგრამ - გარდა ინტენციისა - მნიშვნელოვანია, რამდენად ფუნქციურია საზოგადოებრივი აზრის, ანუ ხალხის ხმის იმგვარი სტრატეგიით წარმოჩენა, რომელ სტრატეგიასაც ვაწყდებით „რეზონანსსა" და „კვირის პალიტრაში".

მოკლედ დავხასიათოთ თითოეული, ჩვენთვის საინტერესო რუბრიკა.

„ხალხის ხმა" - რუბრიკა გაზეთში გვხვდება გაურკვეველი პერიოდულობითა და ცვალებადი ადგილმდებარეობით. მასში წარმოდგენილია 4-5 მოქალაქე, რესპონდენტი.

გამოკითხვის თემა შეეხება საყოფაცხოვრებო კულტურას, მარკეტინგს, ცხოვრების სტილს და მსგავს თემებსა და საკითხებს. როგორც წესი, რესპონდენტები ერთ თვალსაზრისს გამოთქვამენ, რასაც გაზეთი რუბრიკის სათაურში მტკიცებითი წინადადების სახით გადმოსცემს. სახეზეა გამოკითხვის სრული არაპრეზენტაბელურობა და მტკიცების არავალიდურობა, ვინაიდან სფერო, რომელსაც შეეხება შეკითხვა, წარმოადგენს საზოგადოებრივი სოციალური თუ ეკონომიკური ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან ასპექტს - ასპექტს, რომელიც ბევრ ადამიანს შეეხება - და მტკიცება მის შესახებ არ შეიძლება გამომდინარეობდეს ოთხი-ხუთი რესპონდენტის პასუხებიდან. „რეზონანსი“ „ხალხის ხმას“ ყოველგვარი კონტექსტუალური მხარდაჭერის გარეშე გვთავაზობს, ანუ გამოშვებაში საერთოდ არ არის წარმოდგენილი პუბლიკაცია იმავე თემებზე.

„დღის კითხვა“ - როგორც გვიჩვენებს განხილული მონაცემები, ეს რუბრიკა მთლიანად შეეხება ე.წ. „პოლიტიკურ ჩინოსანთა“ კომპეტენციებსა და თემებს, ანუ ისეთ საკითხებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ საჭიროებენ საზოგადოებრივ კონსენსუსს. მხოლოდ დემოკრატიის ვულგარულად გაგების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია, დავუშვათ, რომ მოქალაქეებს, და თუნდაც საზოგადოების მეტ-ნაკლებად ცნობილ წევრებს, აქვთ საკმარისი კომპეტენცია, იმსჯელონ რუბრიკაში დასმულ შეკითხვებზე და, მით უმეტეს, განსაზღვრონ ამა თუ იმ გადაწყვეტილების ავ-კარგი. კომპეტენცია ამ შემთხვევაში არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმირებულობას - ამ ცნებას ჩვენს უფრო ღრმა გაგებით ვხმარობთ. დიდი ალბათობით, გამოკითხულ მოქალაქეთაგან, არასდროს მოუწევს პირდაპირი შეხება რუბრიკაში წამოჭრილ საკითხთან. რესპონდენტების იდენტიფიკაციის ხარისხის განსაზღვრისას, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ რუბრიკაში გამოკითხულთა წრე საკმაოდ შეზღუდულია - რესპონდენტებად გვევლინებიან ე.წ. „საზოგადოების ცნობილი სახეები“ - უპირატესად შოუ ბიზნესის წარმომადგენლები, გვხვდება პოლიტიკურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ერთი პირი. დღის შეკითხვას ძირითადად ერთი და იგივე პირები პასუხობენ, - იკვრება ფსევდოკლუბური წრე, რაღაც ვირტუალური თემი, რომელიც ერთი ნომრიდან მეორეში გადადის თავისი მოსაზრებებით პოლიტიკის საკითხების შესახებ. თუმცა, ბევრი რესპონდენტი პასუხისას აღნიშნავს, რომ უჭირს პასუხის გაცემა და ამ საკითხზე ბევრი არაფერი გაეგება. სახეზეა სრულიად ფანტომური მნიშვნელობები კონკრეტული პოლიტიკური ცნებებისა. „დღის კითხვა“ გამოშვების შინაარსობრივი კონტექსტით არის გამყარებული: საკითხი, რომელიც „მიკროპლებისციტზე“ გამოაქვს გაზეთს, გააზრებულია იმავე გამოშვების სხვა ჟანრის პუბლიკაციებში.

„ცნობილთა აზრით“- რუბრიკა გამოცემაში ერთნაირი პერიოდულობითა და უცვლელი ადგილმდებარეობით, 36-ე გვერდზეა წარმოდგენილი. აქ გაზეთი თავად უთითებს, რომ არა უბრალოდ „ხალხის“, არამედ „ცნობილთა აზრითაა“ დაინტერესებული. რუბრიკაში ყოველთვის სამი რესპონდეტია. კითხვა კი, რომელსაც ისინი პასუხობენ, მკითხველის

მიერაა გამოგზავნილი, ალბათ, ამიტომაც გაზეთში იგივე თემა არასოდეს არ გვხვდება სხვა ჟანრის პუბლიკაციის სახით.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ემპირიული მასალა მხოლოდ ორ კვირას და 17 ნიმუშს მოიცავდა (რაც შეიძლება კვლევის შეზღუდვად განვიხილოთ), იგი მაინც საკმარისია განსაზღვრული დასკვნების გამოსატანად. რადგანაც არა არსებობს არავითარი ობიექტური და ლოგიკური საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მიერ განხილული ნიმუშები წარმოადგენს „წარუმატებელ გამონაკლისს“ და რომ რუბრიკები „ხალხის ხმა“, „დღის კითხვა“ და „ცნობილთა აზრით“ უფრო დიდ დროით ჩარჩოებში განსხვავებულ სურათს მოგვცემდა.

რუბრუკები სრულიად აფუნქციურია. მეინსტრიმული ეპოქის მედიისაგნ განსხვავებით, დღეს - სოციალური მედიის ეპოქაში - ყველა ხმა ისმის; კომუნიკატორად, ავტორად გვევლინება ნებისმიერი, ვისაც აქვს სურვილი და შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგია თუნდაც ერთი წინადადების დასაწერად ან ერთი ფოტოს გამოსაქვეყნებლად. საზოგადოებაში არ არსებობს „ხმის დახშულობის“ პრობლემა.

რუბრუკები სრულიად არაპრეზენტაბელურია. როგორც შეზღუდული რაოდენობა, ისე რესპონდენტთა საკითხში გაცნობიერებულობის ხარისხი გვიჩვენებს, რომ ხალხის ხმის ეს ვერსია არააქტუალურია და უვარგისი.

უმთავრესად, საქმე გვაქვს გადმონაშთის სახით შენარჩუნებულ მედიური ტექსტის რუდიმენტულ ფორმასთან, რომლის არსებობაც ამ სახით კრიტიკულ გააზრებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Bourdier P. L’opinion publique n’existe pas. Les Temps Modernes, janvier, 1973

McQuail, D. McQuail’s Communication Theory. SAGE Publications. 2013

მაისაშვილი, ხათუნა და სხვ. საქართველოს გლასნოსტური ისტორიები. ხელნაწერის უფლებით. 2017

რეზონანსი, 15 აპრილი 2017 – 30 აპრილი 2017

კვირის პალიტრა, 15 აპრილი 2017 – 30 აპრილი 2017